სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებია N52

ქ. გარდაბანი 06.05.2021 წელი

ერთი მხრივ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი მერის მოადგილის დავით კარგარეთელის სახით და მეორე მხრივ, ს.ს. „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ გრძელიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) NAT210006008 ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. *ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება*

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე“. „კვირა“, „თვე“-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებეს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.6 „მხარე“ - „შემსყიდველი“ ან/და „მიმწოდებელი“.

1.7 „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. *ხელშეკრულების საგანი*
2.1 სატელევიზიო მომსახურების შესყიდვა. (CPV92200000)
2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ხელშეკრულებაზე თანდართულ ფასების ცხრილში (დანართ #1-ში) და სატენდერო დოკუმენტაციაში ატვირთულ - „ტექნიკური მოთხოვნები“-ში.

3. *ხელშეკრულების ღირებულება*
3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 50000 (ორმოცდა ათი ათასი) ლარს.
3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. *ანგარიშსწორების ფორმები და ვადები*

4.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, გაწეული მომსახურების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი)

4.4 დაფინანსების წყარო: 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. *მიღება-ჩაბარების წესი*

5.1 შემსყიდველის მიერ ,, შესყიდვის ობიექტის" მიღება მოხდება მიწოდების მიერ შესრულებული სამუშაოს შემდგომ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების 8.1 პუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები (გაწეული მომსახურების შესახებ), რომელზეც შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

6. *მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი*

6.1 მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქალაქი გარდაბანი დ. აღმაშენებლის #127

7. *მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

7.1 „შემსყიდველი" უფლემაბოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლული მომსახურება.

გ) მომსახურების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო

დოკუმენტი. 7.2 *შემსყიდველი ვალდებულია:*

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3 *მიმწოდებელი უფლებამოსილია:*

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 *მიმწოდებელი ვალდებულია:*

ა) სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. ბ) გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1 პუნქტში.

გ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა დანართი #1-ის და სატენდერო დოკუმენტაციაში ატვირთული
„ტექნიკური მოთხოვნები"-ს შესაბამისად.

8. *ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება*

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახური.

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“
ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება
„მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. *პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის*

9.1 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტის მოთხოვნებს, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0.02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. *ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა*

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.6 შემსყიდველის მიერ ამ მუხლის 10.4 პუნქტით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%_ის ოდენობით.

10.7 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. *დაუძლეველი ძალა*

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. *დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. *ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 01 თებერვლამდე.

რეკვიზიტები:

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია მის: ქალაქი გარდაბანი, დ.აღმაშენებლის N127 საიდენტიფიკაციო კოდი: N226573204 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა. მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი:TRESGE22	ს.ს. "ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია" მის. ქ. რუსთავი , მეგობრობის გამზირი 32 საიდენტიფიკაციო კოდი:# 216335838 სს,,თიბისი ბანკი" ბ.კ. #TBCBGE22 ა.ა: # GE74TB02 0000 0000 700 942 ტელ: 592700000

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე	ს.ს. "ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია"
Gardabani Municipality Digitally signed by Gardabani Municipality Date: 2021.05.06 13:44:26 +04'00'	JSC Kvemo Kartli TV-Radio Company Digitally signed by JSC Kvemo Kartli TV-Radio Company Date: 2021.05.06 14:14:22 +04'00'
ლაზით ჯარგარეთელი	თეიმურაზი გრძელიძე

დანართი #1

#	მომსახურების დასახელება	შეთავაზებული დრო	რაოდენობა ეთერში	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით (მაუწყებლობის კანონის 66[1] მუხლის #2 პუნქტი) სიუჟეტების დამზადება და გაშვება სატელევიზიო ეთერის საშუალებით	ყოველდღიურად, სატელევიზიო ეთერის საშუალებით, სიუჟეტების დამზადება-გაშვება საინფორმაციო გამოშვებებში, თითოეული სიუჟეტი არანაკლებ 2 წუთისა	არანაკლებ 400 გაშვება	40.00	16,000.00
2	მიმწოდებლის მიერ, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი 4 ვიდეო-რგოლის დამზადება	თითო კლიპის ქრონომეტრაჟი არანაკლებ 60 წმ.	4 რგოლი	1,000.00	4,000.00
3	მიმწოდებლის მიერ, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი 5 ვიდეო-რგოლის გაშვება	თითო კლიპის ქრონომეტრაჟი არანაკლებ 60 წმ.	არანაკლებ 1000 გაშვება	30.00	30,000.00
სულ ჯამი					50,000.00

სს "ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია"
დირექტორი თეიმურაზი გრძელიძე

JSC Kvemo Kartli TV-Radio Company

Digitally signed by JSC Kvemo Kartli TV-Radio Company
DN: cn=JSC Kvemo Kartli TV-Radio Company, 2.5.4.97=NTRGE-21633583, o=[illegible], c=GE
Date: 2021.04.12 01:32:38 +04'00'

ტექნიკური მოთხოვნები

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებზე

სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს არანაკლებ შემდეგ ტექნიკურ პირობებს:

• ტელეკომპანიის საეთერო მაუწყებლობის დაფარვის ზონა უნდა მოიცავდეს არანაკლებ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს, რაზედაც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია - საერთო საეთერო მაუწყებლობის შესახებ.

• ტელეკომპანიას უნდა ჰქონდეს რეგიონული ბიუროს წარმომადგენლობა, მინიმუმ ორი გადამღები ჯგუფით და ტექნიკურად გამართული ოფისით, სადაც გადაცემების ჩაწერა იქნება შესაძლებელი. (სატელევიზიო სტუდია, სამონტაჟო, ვიდეოკამერები)

• ტელეკომპანია უნდა იყოს მაგთიკომის IP TV, სი-ჯი-სი-ს, სილქნეტის სატელევიზიო პაკეტში, რაზედაც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

• ტელეკომპანიის ეთერში გასული გადაცემების ნახვა შესაძლებელი უნდა იყოს ინტერნეტ პორტალ www.myvideo.ge-ს საშუალებით. (იმის დასადასტურებლად, რომ ტელეკომპანია მაუწყებლობს ინტერნეტ პორტალ www.myvideo.ge-ზე, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია)

• ტელეკომპანიას უნდა ჰქონდეს საკუთარი არხი www.youtube.com-ზე, სადაც ხელშეკრულების ფარგლებში ტელეკომპანიის ეთერში გასული ყველა სიუჟეტის ატვირთვა უნდა მოხდეს ყოველდღიურად. (იმის დასადასტურებლად, რომ ტელეკომპანიას აქვს საკუთარი არხი www.youtube.com-ზე, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ინფორმაცია)

• ტელეკომპანიას უნდა ჰქონდეს საკუთარი ვებ გვერდი და გვერდი სოციალურ ქსელში www.facebook.com, რაზედაც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი ინფორმაცია.

• ტელევიზია უნდა იყოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ავტორიზებული და მინიჭებული უნდა ჰქონდეს საერთო საეთერო მაუწყებლობის უფლება ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე, რაც უნდა დაადასტუროს შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენით - ამონაწერი ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრიდან.

მიმწოდებელმა უნდაუზრუნველყოს:

• გადაცემის დაანონსება, მის ეთერში გასვლამდე.

• საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით სიუჟეტების დამზადება და განთავსება (მაუწყებლობის კანონის 66[1] მუხლის #2 პუნქტის შესაბამისად) როგორც დღის განმავლობაში მიმდინარე გადაცემებში, ისე საეთერო დროის პრაიმ ტაიმში. ინფორმაციის გავრცელება უნდა მოხდეს სატელევიზიო საშუალებით, ასევე პრეტენდენტის ვებ გვერდის, სოციალური ქსელის და მისივე www.youtube.com არხის საშუალებითაც.

საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების შესახებ, ინფორმაციის მოსახლეობისთვის მისაწოდებლად, ქალაქ გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების (მერიის და საკრებულოს) მიწვევა გადაცემაში (პირდაპირი ეთერი ან/და ჩანაწერი) (არანაკლებ 5 (ხუთი) მიწვევა).

• პირდაპირი ჩართვები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებებიდან (არანაკლებ 6 (ექვსი) ლაივი).

• საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ვიდეორგოლების დამზადება და გაშვება. აღნიშნული ვიდეორგოლების არაბრენდირებული (ტელეკომპანიის ლოგოს გარეშე) მიწოდება დამკვეთისთვის, მისი მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, შემდგომი გამოყენების ან გავრცელების მიზნით.

• ტელეკომპანიის ეთერში, თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ გასულ გადაცემებში თვითმმართველობის თანამშრომლების არაქონებრივი უფლებების (პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია ან პირადი ინფორმაციის შემლახავი ცნობა) დაცვა.

• ნებისმიერ ინფორმაციაში, რომელსაც პრეტენდენტი გაავრცელებს თვითმმართველობის, ან თვითმმართველობაში დასაქმებული საჯარო მოხელეების საქმიანობის შესახებ, რაიმე ოფიციალურ, ან არაოფიციალურ წყაროზე დაყრდნობით, (როცა აღნიშნული ინფორმაცია პირდაპირ, ან ირიბად ეხება თვითმმართველობის საქმიანობას), გარდა ფორს-მაჟორული სიტუაციისა, გავრცელებულ ინფორმაციასთან ერთად უნდა დაფიქსირდეს მუნიციპალიტეტის (მერია ან საკრებულო) პოზიციაც, რათა საზოგადოებამ მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღოს სრულად და არა ცალმხრივად.

• ყოველი მომდევნო თვის მომსახურების დაგეგმვა დამკვეთის მიერ ყოველი თვის ბოლოს გაკეთებული დაკვეთის საფუძველზე. კონკრეტული თვის განმავლობაში ტელეკომპანიის მიერ გასაწევი მომსახურების რაოდენობაში ცვლილებების შეტანა მოხდება დამკვეთის მიერ მიმწოდებლისთვის წერილობითი ფორმით მიმართვის, ან დამკვეთთან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, რაც შემდგომ აისახება მიღება-ჩაბარების აქტში.

• მოსახლეობის ინტერესების კვლევის მიზნით, წელიწადში არანაკლებ 3-ჯერ უნდა აწარმოოს გარდაბნის მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტის გამოკითხვა, დამკვეთის მიერ მიწოდებულ თემებზე. გამოკითხვის შედეგების შესახებ, უნდა მოამზადოს სიუჟეტი, ან გადაცემა, რომელიც საეთერო დროის პრაიმ ტაიმში გავა ეთერში, აგრეთვე აღნიშნული სიუჟეტის, ან გადაცემის განთავსება უნდა მოხდეს, როგორც მის არხზე, ასევე www.youtube.com-ზეც. გამოკითხვის ჩატარების პერიოდს და თემას განსაზღვრავს დამკვეთი.

• ტელეკომპანიამ უნდა მოახდინოს ეთერში გასული ვიდეომასალის დაარქივება CD დისკებზე 1 (ერთი) წლის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს არქივის მიწოდება შემსყიდველისთვის.